საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990186635290422

№02/40 **08 / აგვისტო / 2022 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2022 წლის 03 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე დაგეგმილი ვიზიტის ორგანიზების შესახებ

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 24 ნოემბრის N05/05 ბრძანებით დამტკიცებული, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2022 წლის 03 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე დაგეგმილი, იტალიელ ექსპერტთა ვიზიტის ორგანიზების მიზნით, დაევალოს:

ა) იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ექსპერტთა ავიაბილეთებით, განთავსებით და კვებით უზრუნველყოფა;

ბ) ეკონომიკურ სამსახურს ექსპერტთა ტრანსპორტირების და თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფა, ასევე, შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, თამარ კეთილაძის, 2022 წლის 08 აგვისტოს N2154/13 მოხსენებითი ბარათი.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ აზნაურაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990103831699322

№02/41 09 / აგვისტო / 2022 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

"2022 წლის 03 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე დაგეგმილი ვიზიტის ორგანიზების შესახებ" სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2022 წლის 08 აგვისტოს N02/40 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 24 ნოემბრის N05/05 ბრძანებით დამტკიცებული, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება "2022 წლის 03 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე დაგეგმილი ვიზიტის ორგანიზების შესახებ" სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2022 წლის 08 აგვისტოს N02/40 ბრძანებაში და პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

"ბ) ეკონომიკურ სამსახურს ექსპერტთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა და შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება."

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ აზნაურაშვილი